ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №363203

ნომერი: AR167521

თარიღი : 13.09.2012

გაცემის თარიღი : 03.10.2012

გაცნობის თარიღი : 04.10.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა I ხეივანი , II შესახვევი , (ნაკვ. 5/63) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემურ ფიფია პ/ნ 01026008690
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 79

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

მოქ. თემურ ფიფიას 2012 წლის 13 სექტემბრის #არ167521 განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 13 სექტემბერს #არ167521

განცხადებით მომართა ჰანელორე მარია ტიოლკესას მინდობილმა პირმა თემურ ფიფიამ და მოითხოვა სამსახურის 23.09.2011წ. #01/2853 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გსაწორება, კერძოდ: საპროექტო შენობის მახასიათებლად III კლასის ნაცვლად II კლასის მითითება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბერის #01/2853 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი–კრწანისი, ხეივნის პირველი და მეორე შესახვევში, მოქ. ჰანელორე მარია ტიოლკესა და თემურ ფიფიას კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #055/063) შეთანხმდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში საპროექტო შენობის მახასიათებლად მითითებულია III კლასი (რისკის საშუალო ფაქტორით). სამსახურმა გადაამოწმა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი და დაადგინა, რომ ვინაიდან საპროექტო შენობის განაშენიანების ინტენსივობის ფართი 300 კვ.მ.–ზე მეტია შენობა–ნაგებობის მახასიათებლად სწორად იქნა დაფიქსირებული – III კლასი.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად შენობა-ნაგებობის კლასისადმი მიკუთვნება ხორციელდება ასაშენებელი ან სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის პარამეტრების მიხედვით და თუ ერთ კონკრეტულ შენობა-ნაგებობას აქვს სხვადასხვა კლასის განმსაზღვრელი მახასიათებლები, მაშინ შენობა-ნაგებობის კლასს განსაზღვრავს მისი ყველაზე მაღალი მახასიათებელი. ამავე დადგენილების თანახმად, III კლასს განეკუთვნება სართულების იატაკის დონეებზე განაშენია-ნების ჯამური 300 მ2-დან 6 000 მ2-მდე ფართობის, 12 მ-დან 22 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 4 მ-ზე მეტი ჩაღრმავების მქონე შენობა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის თანახმად საპროექტო შენობა თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება III კლასს და, შესაბამისად სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში სწორად იქნა მითითებული შენობა–ნაგებობის კლასობრივი მახასიათებელი, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის IV და VI თავების თანახმად,

ვბრძანებ:

1. უარი ეთქვას მოქ. თემურ ფიფიას 2012 წლის 13 სექტემბრის #არ167521 განცხადების დაკმაყოფილებაზე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. №7ა) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.